შ.პ.ს ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკის საქმიანობის ანგარიში (2018 – 30.08.2020წწ)

2018 წლისთვის, პოლიკლინიკაში ირიცხებოდა 37 000 ბენეფიციარი. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო სფეროში სხვადასხვა მიზეზთა გამო, მოხდა ბენეფიციართა გაპასიურება და მიიმატა პაციენტთა გადინების შემთხვევებმა. ეს პროცესი მე-4 შერეულ პოლიკლინიკაზეც აისახა, შემცირდა ბენეფიციართა რაოდენობა 27 000-მდე . სახელმწიფოს მიერ ჩამორიცხული 75 000 ლარი კი 52 000 ლარამდე შეამცირდა.

პოლიკლინიკის ადმინისტრაციამ, საჭიროდ მიიჩნია ბენეფიციარების თავიდან აღრიცხვიანობის ჩატარების აუცილებლობა. პროცესში აქტიურად ჩაერთო პოლიკლინიკის ყველა თანამშრომელი, რომლებმაც ნიკეასა და სულხან საბას მუნიციპალურ ერთეულებში, კარდაკარ მუშაობის პრინციპით, ბენეფიციართა რაოდენობა 32 200-მდე გაზარდეს. შესაბამისად გაიზარდა ჯანდაცვის მიერ გადმორიცხული თანხის რაოდენობა, რომელმაც 60 000 ათასი ლარი შეადგინა.

მთელი წლის განმავლობაში, პოლიკლინიკაში პერმანენტულად ტარდებოდა სამედიცინო გამოკვლევები ნიკეასა და სულხან-საბას მოსახლეობისთვის. საერთაშორისო სამედიცინო ცენტრთან ერთად, ადმინისტრაციის მიერ მოწვეულ იქნა მაღალპროფესიული ექიმების ჯგუფი, (კარდიო-ქირურგი, ორთოპედ-ტრამვატოლოგი და ანგიო-ქირურგი) თბილისიდან და ბელორუსიიდან.

2017 წლის 10 დეკემბრისთვის, პოლიკლინიკის ლაბორატორიული განყოფილება სავალალო მდგომარეობაში დაგვხვდა, რომელიც დაუყოვნებლივ რეაბილიტაციას საჭიროებდა. ლაბორატორია პოლიკლინიკის ხარჯებით გარემონტდა.

2018 წლის ივლისში ქუთაისის მერიის მხარდაჭერით, შევიძინეთ იმუნოფერმენტული, ჰოლტერის კარდიოლოგიური და დენსიტომეტრიის აპარატები, რომელმაც საშუალება მოგვცა, გვეწარმოებინა დამატებითი დიაგნოსტიკური კვლევები. შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლიკლინიკის შემოსავლები .

ჰოლტერის 24 საათიანმა კარდიოლოგიურმა აპარატმა, ექიმ კარდიოლოგებს ზუსტი დოიაგნოსტიკის საშუალება მისცა. აპარატში გადახდილ იქნა 1000 ლარი. კვლევები 80 პაციენტზე განხორციელდა. მისი ღირებულება თითოეულ პაციენტთან 50 ლარს შეადგენდა, რამაც, საერთო ჯამში 6 თვის განმავლობაში პოლიკლინიკას 2500 ლარის წმინდა მოგება მოუტანა.

მნიშვნელოვანი იყო დენსიტომეტრიული აპარატის შეძენა. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა 2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერში , ქუთაისის ბაგა-ბაღებში 5 დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებში კვლევების ჩატარება. აქცია ექიმ ორთოპედ-ტრამვატოლოგის, ოფთალმოლოგის გასინჯვა-კონსულტაციას, სისხლში კალციუმის ნაკლებობის განსაზღვრას და დენსიტომეტრიულ კვლევას ითვალისწინებდა. პროგრამის ფარგლებში სულ გამოკვლეული იქნა 1152 ბავშვი. გამოვლინდა შემდეგი პათოლოგიები:

- ოფთალმოლოგიური - 93 ბავშვი
- ორთოპედ-ტრამვატოლოგიური - 70 ბავშვი
- დენსიტომეტრიული/პრტყელ ტერფიანობა - 338 ბავშვი
- სისხლში კალციუმის ნაკლებობა - 343 ბავშვი

შ.პ.ს ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა 2018 წლის დეკემბრიდან , ჩაერთო სახელმწიფო ჯანდაცვის ,,დიაბეტის მართვის" და აივ /შიდსის უფასო კვლევის პროგრამებში.

2018 წელს პოლიკლინიკაში მნიშვნელოვანი აქციები და ღონისძიებები ჩატარდა. ბენეფიციართა რაოდენობა 5 000 კაცით გაიზარდა, მოიმატა პოლიკლინიკაში დარეგისტრირების მსურველმა პაციენტების რიცხვმა. პოლიკლინიკისათვის 2018 წელი, სასიკეთო ძვრების და დადებითი ტენდეციების წელი იყო. წამგებიანი მდგომარეობიდან ორგანიზაციამ მომგებიან პოზიციაზე გადაინაცვლა.

2019 წელში პოლიკლინიკამ საანგარიშო წელი მოგებით დაასრულა (52 014 ლარი). პოლიკლინიკამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: ტუბერკულოზის ადრეული დიაგნოსტიკის, შიდსის და C-ჰეპატიტის როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ პროგრამებში.

2020 წლის მონაცემებით, ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 34 000-მდე.

წარმატებით ჩაერთო 112-ის online სატელეფონო საუბრების პროგრამაში, რომელიც მოიცავს COVID – 19-ის იდენტიფიცირებას და მართვას. ასევე შესაბამისი სიმტომებით მოსულ პაციენტებს ვუღებს პჯრ ტესტებს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ფინანსური დახმარებით შევიძინეთ თანამედროვე ულტრაბგერითი აპარატი, რაც საშუალებას გვაძლევს პაციენტებს ჩავუტაროთ გულის, ფარისებრი ჯირკვლის, აბდამინალური და გინეკოლოგიური ექოსკოპიური გამოკვლევები.

ქ. ქუთაისში, სულხან-საბას №19-ში მდებარე შ.პ.ს ,,ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობის (მე-2, მე-3 სართული) მე-2 სართულს უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სრული ფინანსური მხარდაჭერით და უახლოეს პერიოდში მოხდება სამუშაოების დასრულება.

ქუთაისი №4 შერეული პოლიკლინიკა
212670796
KUTAISI №4 POLYCLINIC